GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 298
თარიღი: 8 10 2014 წ.

# საქართველოს
# უზენაესი სასამართლო

3.10.14 № 92-3

ბატონ სერგი კაპანაძეს
ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის" დირექტორს
(თბილისი, რაზმაძის ქ. № 15, ტელ.: 591 32 07 29)

*(თქვენი 2014 წლის 22 სექტემბრის №639 წერილის პასუხად)*

გეგზავნებათ მონაცემები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ.
იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის თემატიკაზე ტრენინგები ჩატარდა:

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებამდე: 2009 წლის 25-26 აპრილს, 13-14 ივნისს, 4-5 ივლისს, 25-26 ივლისს, 19-20 სექტემბერს, 24-25 ოქტომბერსა და 2010 წლის 15-17 ივლისს; ტრენინგი გაიარა სისხლის სამართლის ყველა მოქმედმა მოსამართლემ;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედების შემდეგ: 2014 წლის 6-7 მარტს; ტრენინგი გაიარა 8 მოქმედმა მოსამართლემ;

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული საქმეების რაოდენობას, 2014 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით სულ განაჩენის (ვერდიქტის) გამოტანით განხილულია 9 სისხლის სამართლის საქმე. აქედან: 1 საქმეზე 5 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი ვერდიქტი, 3 საქმეზე 5 პირის მიმართ – ნაწილობრივ გამამართლებელი, 5 საქმეზე 7 პირის მიმართ – გამამტყუნებელი;
ამჟამად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველია 11 სისხლის სამართლის საქმე.

პატივისცემით,

ალექსანდრე წულაძე
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

0110, თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32. ტელ.: (995 32) 2 93 12 62, ფაქსი: (995 32) 2 99 01 64
http://www.supremecourt.ge